





ქრისტოფ რანსმაირი

# უკანასკნელი სამყარო

ოვიდიუსის პერსონაჟთა ნუსხითურთ

ობიექტი  
მაგლიონები

ქრისტოფ რანსმაირი  
უკანასკნელი სამყარო  
ოვიდიუსის პერსონაჟთა წუსხითურთ

Christoph Ransmayr  
DIE LETZTE WELT  
Mit einem Ovidischen Repertoire

გერმანულიდან თარგმნა მაია ბადრიძემ

## ≡ Bundeskanzleramt

Supported by the Federal Chancellery of Austria.

Originally published as: "Die letzte Welt"

© Christoph Ransmayr, 1988. All rights reserved by S. Fischer Verlag GmbH,  
Frankfurt am Main.  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2019  
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-597-4

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

კუძლვნი ანდრეას ტალმაირს



## პირველი თავი

ქარიშხალი ფრინველების გუნდი იყო ღამის ცაზე, თეთრი გუნდი, ხმაურით რომ ახლოვდებოდა და უცებ უზარმაზარ ტალ-ლად ქცეული, გემს ეხეთქებოდა. ქარიშხალი გემბანის ქვეშ ყვირილი, ტირილი და ნარწყევის მჟავე სუნი იყო სადღაც იქ სიბნელეში. ძალი იყო, გემზე ზვირთცემისგან რომ გაგიუდა და მეზღვაურის ფეხზე მყესი გადაუღრღნა. ჭრილობა ტალღების ქაფმა დაფარა. ქარიშხალი ტომისში მოგზაურობა იყო.

გემბანის მივარდნილ კუთხეებში კოტა საკუთარ გასაჭირს ემა-ლებოდა და მისგან გაქცევასა და დავიწყებას ძილში ცდილობდა, მაგრამ ვერც ეგეოსისა და ვერც შავ ზღვაზე თვალი ვერ მოხუჭა. როცა დაქანცულს იმედი უჩნდებოდა, იქნებ ძილი ახლა მაინც მომე-რიოსო, ყურებს ცვილით იგმანავდა, თვალებს ლურჯი შალის შარ-ფით იხვევდა, წვებოდა და საკუთარ გულისცემას ითვლიდა. გაშმა-გებული ტალღები კი მას, გემს და მთელ სამყაროს მარილიანი და ქაფმორეული გზის მაღლა იტაცებდა, წამით ჰაერში ალივლივებდა და მერე მთელ სამყაროს, გემსა და დაქანცულ მგზავრებს ქვემოთ, ტალღებზე ანარცხებდა, იქ, სადაც შიში იყო და ყველა ფხილობდა.

„ტრივიაზე“ კოტას ჩვიდმეტი მტანჯველი დღისთვის უნდა გა-ეძლო. როცა აპრილის ერთ დღილას გემიდან ჩამოსული კბოდის ძირ-ში ზვირთცემისგან გაპრიალებულ ტომისის ხავსმოდებულ გალა-ვანთან აღმოჩნდა, ისე ბარბაცებდა, რომ ორი მეზღვაური სიცილით ამოუდგა მხარში და ნავსაფერის უფროსის კანტორასთან მიიყვა-

ნა, სადაც დაძენძილი გემსართავებისა და ტროსების გროვა იდო. კოტა თევზისა და ფისის სუნით აქოთებულ ტროსებზე დაწვა და შეეცადა, დაეშოშმინებინა ზღვა, გულ-მუცელში ჯერ კიდევ მოუს-ვერნად რომ უბორგავდა. ნავმისადგომზე „ტრივიას“ ტვირთიდან გადმოცვენილი დაობებული ფორთოხლები დაგორავდა – მოგონება იტალიის ბალებზე. ციონდა; უმზეო დილა იყო. შავი ზღვა ზანტად ეხეთქებოდა ტრომისის კონცხს, რიფებს ასკედებოდა და ხმაურით ენარცხებოდა წყლიდან ამოშვერილ კლდეებს. ზოგან ზვირთცემას ნაპირზე ნაგვითა და ფრინველის სკინტლით დასვრილი ყინულის ბელტები გამოერიყა. კოტა იწვა, თვალი გაშტერებოდა და როცა ფერდებშევარდნილმა ჯორმა პალტოს სახელოს ძიგნა დაუწყო, არც კი განძრეულა. შიგანში ზღვა ჩაუცხრა და ტალღები ერთიმეორის მიყოლებით დამშვიდდა; კოტას ჩაეძინა. ის ჩამოვიდა.

ტრომისი – მიყრუებული ადგილი სადღაც სამყაროს დასალიერ-ში. ტრომისი – რეინის ქალაქი. მებაგირის მეტს, ხასხასაფერებიანი გობელენებით მორთულ გაყინულ სხვენის ოთახს უცხოელებ-ზე რომ აქირავებდა, კოტას ჩამოსვლა ტრომისში არავის გაუგია. თანდათან შეულამაზებლად, რაც იქაურობისთვის უჩვეულო იყო, ქალაქში ამ უცხოელზე ხმები გავრცელდა. ამ ხმებს, შესაძლოა, სხვა დროს იქაურები მის მიმართ მტრულად განეწყო: უცხო, რო-მელიც გათოშილი იდგა თაღის ქვეშ, უცხო, რომელიც უანგისგან გამოჭმულ გაჩერებაზე ავტობუსის განრიგს იწერდა და გაავებუ-ლი ძალღების დამოშმინებას გაუგონარი მოთმინებით ცდილობდა – ეს უცხო რომიდან ჩამოვიდა. იმ დღეებში რომი ისე შორს იყო, როგორც არასადროს, რადგან ტრომისში ყველამ ზურგი აქცია სამ-ყაროს, ორნლიანი ზამთრის დასასრული რომ ეზეიმათ. ქუჩებში ჩასაძერი საკრავების გამაყრუებელი ხმა ისმოდა, ღამე კი შორეუ-ლი სოფლებიდან და მთიანი ველებიდან ჩამოსული სტუმრების – გლეხების, ქარვის მაძიებლების, ღორების მწყემსების ღრიანცელს აევსო. მებაგირემ, რომელიც ყინვაშიც ფეხშიშველი დადიოდა და როცა განსაკუთრებულ შემთხვევებში ტურტლიან ფეხებზე ამოიც-ვამდა ხოლმე ფეხსაცმელს, სახლის სიჩუმეში ამ ფეხსაცმლის ჭრა-

ჭუნის მეტი არაფერი ისმოდა, ამ დღეებშიც ჩაიცვა ფეხზე. ტერა-სულად განლაგებულ მინდვრებს შორის, ქალაქის შემოგარენში, ში-ფერით გადახურულ ბნელ ეზოებში ზაფრანიან და ვანილიან ტკბილ პურებს აცხობდნენ. კლდიანი სანაპიროს დაკლაკნილ ბილიკებზე პროცესია მიემართებოდა. პირველად ორი წლის შემდეგ ფრიალო კლდეების ფერდობებზე დამდინარე ნალექი თოვლი აღარ იყო.

ქალაქის ოთხმოცდათი სახლიდან უმრავლესობა იმ დროს უკვე მიტოვებული იყო; ჩამონგრეული სახლები ხვიარა მცენარეებსა და ხავსს დაეფარა. გვერდიგვერდ ჩამნკრივებული სახლები თანდათან უჩინარდებოდა და სანაპიროს მთებს უბრუნდებოდა. და მაინც ვიწ-რო, ციცაბო ქუჩებში აქა-იქ ბრძმედებიდან ამოსულ კვამლს შეამ-ჩნევდით. ეს ბრძმედები ქალაქს უხარისხო რკინით ამარაგებდა. ეს იყო ერთადერთი რამ, რაც ამ ქალაქს ყოველთვის ჭარბად ჰქონდა.

კარები რკინის იყო, ფანჯრის დარაბები და ლობეებიც რკინის იყო, რკინის იყო სახურავის მოსართავი ფიგურებიც და გიუმაუ მდინარეზე გადებული ვიწრო ხიდიც, რომელიც ტომისს ორ არა-თანაბარ ნაწილად ყოფდა. ამ ყველაფერს მარილიანი ქარი ჭამდა, უანგი ჭამდა. ქალაქი უანგისფერი იყო.

სახლებში ადრე დაბერებული, შავებში ჩაცმული ქალები საქ-მიანობდნენ, ზემოთ მთებში კი, მაღაროში, მტკრიანი, დაქანცული კაცები მუშაობდნენ. ზღვაში სათევზაოდ გასულები დაცარიელებულ ზღვას უკურთხავდნენ, მინდორში მომუშავენი კი – მღრღნელებს და მავნე მწერებს, ყინვასა და ლორლს. ვისაც ღამე არ ეძინა, მგლების ყმული ესმოდა. ტომისი ისეთივე უდაბური, უნუგეშო და ძეველი იყო, როგორიც ათასობით სხვა ზღვისპირა ქალაქი. კოტას უცნაუ-რად ეჩვენებოდა, რომ ზღვისა და მთებისგან ერთნაირად შევიწროე-ბულ, საკუთარ ზე-ჩვეულებებსა და ყინვის მარწუხებში, სიღატაკე-სა და ქანცგამნყვეტ შრომაში გამომწყვდებულ ამ მიყრუებულ ადგი-ლას შეიძლებოდა რამე ისეთი მომხდარიყო, რაზეც ევროპული მეტ-როპოლიების შორეულ სალონებსა და კაფეებში ილაპარაკებდნენ.

რკინის ქალაქიდან ჩამოსულმა იმ ხმამ, რომლის ნაკვალევსაც კოტა ამდენ ხანს მიჰყვებოდა და რომელსაც, უდავოდ, სხვებიც

გაპყვებიან, კოტას ყურამდე მაშინ მიაღწია, როცა რომაული ვია-ანასტასიოს ერთ-ერთი სახლის შემინულ ვერანდაზე ბეგონიებსა და ოლეანდრებს შორის იჯდა და იქ მყოფთა უდარდელ მუსაიფს უსმენდა. ტომისის ხედები, კვამლით სავსე ქუჩები, ხვიარა მცენა-რეებით დაფარული ნაგრევები და ყინულხერგილები ზამთრის იმ საღამოს ისე უხდებოდა და ამშვენებდა, რომ უამისოდ მონაყოლი მშრალი და დამაჯერებლობას მოკლებული იქნებოდა. ტომისიდან ჩამოღწეულმა ამბავმა ისე მოიარა რომი, როგორც ნაკადმა, ფერ-დობზე რომ მიექანება ზვირთსაქცევისკენ, ზოგან განტოტდა, აქა-იქ აჩქარდა და გამრავალფეროვნდა, ზოგან კი, სადაც არავინ იცის სახელები: ტომისი, ნაზონი და ტრაქილა – გაჩერდა და დაშრა.

ასე რომ, ამბავი გადასხვაფერდა: ხან ათას ფერს იძენდა, ხან ძალა აკლდებოდა ან სულაც ქრებოდა, მაგრამ მაინც ჭიის პარკივით მალავდა ერთადერთ ფრაზას იმ ჭუპრივით, რომელიც საბოლოოდ რა აღმოჩნდება, არავინ იცის. ეს ფრაზა ასე ჟღერდა: ნაზონი მოკვდა.

თავიდან პასუხები, რომლებსაც კოტა ტომისში დასმულ კით-ხვებზე იღებდა, უთავბოლო და ბუნდოვანი იყო. ისინი ხშირად მხოლოდ მოგონებები იყო იმაზე, რაც აქ უცნაურად და უცხოდ ჩანდა. ნაზონი?.. ეს ის გიუ არ იყო, დროდადრო რომ გამოჩნდებოდა ხოლმე ხელში ჩაბლუკული ანკესებით და ქარბუქშიც კი ტი-ლოს პიჯაკით იჯდა კლდეზე? საღამოობით კი ლვინის სარდაფებში სვამდა, პარმონიკაზე უკრავდა და შუალამისას ყვიროდა?

ნაზონი... ის ხომ ლილიპუტი იყო, აგვისტომი ქალაქში ფურ-გონით ჩამოდიოდა და დაღამებისთანავე საყასბოს უკანა თეთრ კე-დელზე სასიყვარულო ფილმებს უშვებდა. შესვენებებზე ქაშანურის ჭურჭელს, სისხლდენის შემაჩერებელ ალაუნის ქვას და თურქულ თაფლს ყიდდა და დინამიკებით იმხელა ხმაზე გვასმენინებდა მუ-სიკას, რომ ძალლები ყმუილს იწყებდნენ.

ნაზონი. ჩამოსვლიდან ორი კვირის შემდეგლა გადაეყარა კოტა იმ მოგონებებს, რომლებიც ეცნო: ყასაბ ტერევსს, ისე რომ გვრგვი-ნავდა, ხარის ბლავილსაც კი ახშობდა, როცა თვალებს ტყავის სახვე-ვით უკრავდა და სამყაროს ბოლოჯერ დანახვის უფლებას ართმევდა;

კოლონიური საქონლით მოვაჭრის ქვრივ ფამას, რომელიც მაღაზიის თაროებზე ჭინჭრის გირლანდებს კიდებდა გარდატეხის ასაჟში მყოფ, ავი ზნით შეპყრობილ თავის ვაჟს წითელ ქაღალდში შეფუთული საპ-ნებისთვის, პირამიდასავით ახორხლილი კონსერვებისა და მდოგვის ქილებისთვის ხელი რომ არ წაევლო. ავი ზნით შეპყრობილი, ჭინჭრით რომ დაესუსხებოდა ხოლმე თითები, ისე შემზრავად ღრიალებდა, რომ მეზობლის სახლებში დარაბები რახარუხით იკეტებოდა... ტერევსს, ფამას და ყრუ-მუნჯ ფეიქარ არაქნეს, ტუჩების მოძრაობით რომ ხვდებოდა, რას ეკითხებოდა უცხოელი და მის კითხვებს თავის გაქნევით ან დაკვრით პასუხობდა, კარგად ახსოვდათ, რომ ნაზონი რომაელი იყო, პოეტი, რომელიც გადმოასახლეს და თავის ბერძენ მსახურთან ერთად ქაღალის ჩრდილოეთით ოთხი თუ ხუთი საათის სავალზე ტრაქილაში ცხოვრობდა. პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი, ჩქარ-ჩქარა გაიმეორა ავი ზნით შეპრობილმა სახელი, რომელიც დედამისმა მრავალმნიშვნელოვნად ნარმოთქვა მაშინ, როცა კოტა ერთ წვიმიან დღეს ფამას ჩაბნელებულ მაღაზიაში იდგა.

რა თქმა უნდა, ნაზონი, ის რომაელი. ნეტა ცოცხალია? სად არის დამარხული? ნუთუ არსებობდა კანონი, რომელიც ვინმეს იმ რომაელზე ზრუნვას ავალდებულებდა, ტრაქილაში თავისი არსებობის ბედერულ დღეებს რომ ითვლიდა? კანონი, რომელიც იქაურს ავალდებულებდა, უცხოელისთვის გაცა პასუხი, როცა ის მეორე უცხოელის ადგილსამყოფელის დადგენას ცდილობდა. ამ სანაპიროს ბინადრები უჩუმრად ცხოვრობდნენ და ქვებქვეშ ნამისჭიებივით იხოცებოდნენ. საბოლოოდ, კოტამ იმაზე მეტი ვერ გაიგო, რა-საც სამყაროს დასალიერში რომიდან ჩამოსულზე ჰყვებიან ხოლმე. არც მებაგირე ლიკაონს დასცდენია სიტყვა. წერილში, რომელმაც თვეების შემდეგ ჩააღწია ვია-ანასტასიონში, ენერა: არ მენდობიან.

აპრილის ერთ ბოლო დღეს კოტა ტრაქილის გზას დაადგა. ნიუარებით მოფენილ სანაპიროზე, რომლებსაც ფეხქვეშ ტკაცატკუცი გაუდიოდათ, პროცესის გადააწყდა, რომელიღაც ყოვლისშემძლე ღვთაებას ნაყოფიერ მინდვრებს, რკინის ულევ მადანს, თევზების სიუხვესა და მშვიდ ზღვას რომ შესთხოვდნენ. ცოტა ხანს კოტა

პროცესიას მიჰყვებოდა. მლოცველთა შორის, სახეზე ნაცარი რომ წაესვათ ნიღაბივით და ნაკეთებს უმახინჯებდათ, რამდენიმე იცნო კიდეც. მათ შორის მებაგირეც იყო. მერე კოტამ გზიდან გადაუხვია და დაკლაკნილ ბილიკს აუყვა, რომლის აქეთ-იქით აპზინდა და კვრინჩი ხარობდა. ზემოთ, ნაშალზე რომ ავიდა და ქვემოთ ჩაიხედა, პროცესია უსახო არსებების ქარავნად მოეჩვენა. ეს არსებები სანაპიროზე უხმოდ მიღოლავდნენ; ციცქა დროშები ფრიალებდა, ციცქა ბალდახინი ირხეოდა ოთხთვალას თავზე, რომელსაც შავად მოზიმზიმე ბრძო მიაგორებდა. ქარი სიმღერის, მლოცველთა დალადისა და წინწილების ხმას ახშობდა. იქ, ქვემოთ, ტომისის ბინადარნი ზეცასთან დაზავებას ცდილობდნენ, რომელიც არ სწყალობდათ. ნისლში ისინი ნაცრისფერ სანაპიროს შერწყმოდნენ. როგორც იქნა, კოტა მარტო დარჩა. მდელო გადაკვეთა, კლდის ჩრდილქვეშ თოვლის ქერქზე ბორძიკით მიმავალი ქვემოთ, სილრმეში, მდუმარედ განოლილ ზღვას ხედავდა. ნაზონმა აქ გაიარა. ეს მისი გზა იყო.

მთის ფერდობი ისეთი დამრეცი იყო, რომ კოტა ზოგჯერ ოთხით მიინვედა წინ. უცებ, თითქოს მიწიდან ამოიზარდაო, ძალის ტლანქი, დაბზარული ქვის ქანდაკება გამოჩნდა, რომელსაც უკანა თათები აკლდა. კოტა ფეხზე ნამოდგა, მძიმედ სუნთქავდა. ის ნანგრევებში იდგა.

ტრაქილა: კირქვის დამსკდარი გალავანი, ერკერები, რომელთა ფანჯრებიდანაც მთის ფიჭვის ტოტები გამოჩერილიყო, გაჭვარ-ტლული სამზარეულოები, საძინებელ და სასტუმრო ოთახებში ჩამონალილი ლერწმისა და შიფერის სახურავები და ჭიშკრის ცარიელი თაღები, რომლებშიც მხოლოდ დრო გაედინებოდა; ოდესალაც აქ ალბათ ხუთი-ექვსი სახლი იდგა, საჯინიბოები, ფარდულები...

ამ გავერანებულ ადგილას ქვის ლოდები აღმართულიყო – ათობით კონუსი, ყველაზე დიდები კაცის სიმაღლისა იყო, ყველაზე პატარები მუხლებამდე ძლივს სწვდებოდა კოტას. კონუსების თავზე ალმები ფრიალებდა, ფერად-ფერადი ნაკუნწები, ზოლებად დაჭრილი და დახეული კაბები და როცა კოტა ერთ-ერთ პატარა მონუმენტს მიუახლოვდა, დაინახა, რომ ალმები ნარნერებით იყო დაფარული.

ბაც წითელ, გახუნებულ ლენტს ხელი ფრთხილად შეახო. ნაჭერი ისე იყო ქვებზე გადახლართული, რომ, როგორც კი კოტამ ის წარწერის წასაკითხად ამოაძრო, კონუსი მაშინვე ჩამოიშალა. ქვები ფიჭვის ფესვებისგან დახეთქილ კიბებზე დაგორდა და კოტამ წაიკითხა: თავდაპირველი სახით არრა წარმოგვიდგება.

ქვებზე ჩამოშლილი ქვეშის ნაკადი შეწყდა. ისევ სიჩუმე ჩამოწვა. ამ გაპარტახებულ არქემარეში კოტამ ნანგრევებს შორის სახლი დაინახა, რომლის დაუზიანებელ სახურავზე ჭკები ისხდნენ. ის სახლისკენ წავიდა, განაპიროს რომ იდგა და შორიდანვე დაიწყო ყვირილი: თავის და ნაზონის სახელს იძახდა, გაუთავებლად ყვიროდა, რომიდან ჩამოვედი, აյ რომიდან ჩამოვედიო. პასუხი არავის გაუცის.

ჭიშკარი ჩაეცემილი არ იყო. კოტამ ხელი ჰკრა და გააღლო. ხელი ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჩამოლებული, რომ გაშეშდა, როგორც შიმისგან შეშდებიან ხოლმე: ეზოს განათებულ კუთხეში, მთის სიცივეში, თოვლის წარჩენებსა და გაყინულ წუმბეს შორის, ამწვანებული თუთა იდგა, რომლის ტანიც გარეული ნადირისგან დასაცავად კირით შეეთეთრებინათ, მის ქვეშ ჩამოცვენილი თუთის წაყოფით დალაქავებული თოვლი მოჩანდა.

იმ ადამიანივით, სიბნელის რომ ეშინია და თავის გასამხნევებლად სტვენას და სიმღერას იწყებს, კოტამ ყვირილი დაიწყო. ისევ წაზონს ეძახდა. ასე გადაჭრა ეზო და მცველად საკუთარი ხმა მიჰყვებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, პოეტის სახლში შევიდა. ყველა კარი ღია იყო. ოთახებში არავინ ჩანდა.

პატარა ფანჯრებზე ტილოს ფარდები აფრებივით იბერებოდა. ქარის დაბერვისთანავე ფარდები ფრიალებდა და ფანჯრიდან გაველურებული ბალი და კიდევ უფრო შორს რძისფერი სიღრმე მოჩანდა. ამ სითეთრის ქვემოთ, ალბათ, ზღვა იყო. ნაზონის მაგიდიდან ზღვა მოჩანდა. ღუმელი ცივი იყო. ქვაბებში საჭმლის წარჩენები ჩამხმარიყო. ჩაის ჭიქებსა და პურის ნატეხებს შორის ჭიანჭველები დაცოცავდნენ. თაროებზე, იატაქსა და საწოლზე წვრილი თეთრი ქვიშა ეყარა, რომელიც ფეხქვეშ შრიალებდა, ქვიშა, რომელიც ჭერიდან და კედლებიდან ცვიოდა.

კოტამ სახლი ორჯერ, სამჯერ შემოიარა, ბათქაშზე ნესტის ლაქებს აკვირდებოდა, შავი ხის ჩარჩოში ჩასმულ რომის ქუჩის პეიზაჟს ათვალიერებდა, წიგნების ყდებს ხელს უსვამდა და სა-თაურებს ხმამაღლა კითხულობდა, მაგრამ ნაზონის სახელს აღარ იძახდა; მერე ზედა სართულზე ამავალი კიბისკენ წავიდა, ალა-მი, რომელიც უგულისყუროდ ეჭირა ხელში, ქარმა გამოგლივა და ძირს დააგდო. კოტა ასაღებად დაიხარა და უცებ იქვე კაცის სახე დაინახა. კიბის ქვეშ სიბნელეში მოხუცი იჯდა ფეხმორობმით, რო-მელმაც ალმისკენ გაიშვირა ხელი და გაოგნებულ კოტას სულის მოთქმა არ დააცადა, ისე უთხრა, უკან დადეო.

კოტას გული გამაღებით უცემდა. ნაზონიო, წამოილულლუდა. მოხუცმა ალამს ხელი სტაცა, დაჭმუჭნა, კოტას სახეში ესროლა და ჩაიხითხითა: ნაზონი ნაზონია, პითაგორა კი – პითაგორა.

მოხუცი ერთი საათის შემდეგაც იქ იჯდა. კოტა ამაოდ ცდილობ-და, რამე ეთქმევინებინა, კითხვებს ამაოდ უმეორებდა. პითაგორა, ნაზონის მსახური, კოტას არსებობას ვერც კი ამჩნევდა, დროდად-რო ხმადაბლა სულმოუთქმელად თავის თავს ელაპარაკებოდა, კოტას ლანძღვდა, ლეშიჭამიას ეძახდა, თავისი ნათესავების გვამით რომ იკვებება და ერთგულ მსახურებს რომ კლავს, ხითხითებდა, ჩუმდე-ბოდა, მერე ისევ თავიდან იწყებდა და ღმერთმა იცის, რატომ, რომე-ლილაც ეგეოსელ დიქტატორს სწყველიდა, რომელიც თხებს ყვარობ-და და მერე საკუთარი ხელით ხერხემალში ტეხბა; შემდეგ უცებ დაწყნარდა, ერთ-ორჯერ ტაშიც კი შემოჰკრა და სულთა გადასახლების სასწაულზე ალფროთოვანებით ალაპარაკდა, ჩემი სული სალამანდრის, მეზარბაზნის, ღორების მწყემსის სხეულში სახლობდა, ბრმა ბავშვიც ვიყავი, მის სხეულში იმდენ ხანს დავყავი, სანამ ეს უბედური პატარა სხეული კლდის ქმიდან არ გადაიჩეხა და არ დაიხრიო.

კოტა არ ეპასუხებოდა, უხმოდ უსმენდა. ჩანდა, ამ მოხუცის სამყაროსკენ მიმავალი გზა არ არსებობდა. მერე, როცა პითაგორამ დიდი ხნით შეისვენა, კოტა ისევ ალაპარაკდა, თავიდან გულგრი-ლი ტონით, ჭკუასუსტებს რომ ელაპარაკებიან ხოლმე და ალბათ, იმიტომ, რომ მოხუცის ნდობა დაემსახურებინა. ბოლოს მიხვდა,

რატომაც ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა იმიტომ, რომ ამ უთავბოლო ყბედობისთვის, სიბნელიდან რომ ისმოდა, კარგად ცნობილი სამყაროს წესრიგი და საღი აზრი დაეპიროსპირებინა: რომი – ფანჯარასთან თოვლში წარმოუდგენლად ამწვანებული თუთის ხის წინააღმდეგ; რომი – უდაბურებაში აღმართული ქვის პირამიდების წინააღმდეგ, ტრაქილის მარტოობის წინააღმდეგ.

მსახურს მოგზაურობის დროს ამოვარდნილ ქარიშხალსა და განშორების სევდაზე უყვებოდა, ველური ფორთოხლების მწარე გემოზე – სულმონის ჭალებიდან, სულ უფრო და უფრო იძირებოდა წარსულში, სანამ იმ დღემდე არ მივიდა, როცა ცხრა წლის წინ ნაზონის სახლში, პიაცა-დელ-მოროზე, ხანძარი დაინახა. აივნიანი ოთახიდან, რომელშიც ნაზონი ჩაკეტილიყო, მსუბუქი კვამლი გამოდიოდა. ღია ფანჯრებიდან ფერფლი ფიფქებივით ცვიოდა. დერეფანში, სადაც სალამოს მზე მარმარილოს იატაკზე ფიგურებს ხატავდა, ბარგს შორის ნაზონის ცოლი იჯდა და ტიროდა. ეს ნაზონის ბოლო დღე იყო რომში.

როგორც სიკვდილი უდებს ხოლმე ზოგჯერ სახლის კარს, ნათესავებისა და მეგობრების გარდა, დაქირავებულ დამტირებლებს, ცნობისმოყვარე და გულგრილ უცხოებს, ასე გააღო პიაცა-დელ-მოროზე კვიპაროსებსა და შავ ნაძვებში ჩაფლული სახლის კარი იმ დღეებში ნაზონის გადასახლების ამბავშა. მართალია, ამ უბედურებამ მშიშრები დააფრთხო და იქაურობას არ ეკარებოდნენ, მაგრამ მგლოვიარე სახლის შესაფერისად, კიბეებზე და სალონში მაინც უამრავი ადამიანი ირეოდა. უწყვეტ ნაკადად მოდიოდნენ და მიდიოდნენ გამოსამშვიდობებლად მოსულები, ლატარიის გამყიდველები, მათხოვრები და ქუჩის გამყიდველი ბიჭები, რომლებიც ხალხს ლავანდის თაიგულებს სთავაზობდნენ, მაგიდებიდან კი ჭიქებს, ხოლო ვიტრინებიდან ვერცხლს იპარავდნენ. ამას არავინ აქცევდა ყურადღებას.

ნაზონი ძლიერ დაითანხმეს, სამუშაო ოთახიდან გამოსულიყო. ფერდაკარგულმა, გამურული ხელებით, როგორც იქნა, კაბინეტის კარი გააღო: ლურჯი ხალიჩა ფერფლს თოვლივით დაეფარა; მაგიდაზე, რომლის ინტარისია ცეცხლის მხურვალებას ერთგვარ

ბურბუშელად გადაექცია, ორპირი ქარი დანახშირებულ ქაღალდებს ფურცლავდა; თაროებზე და ნიშებში წიგნები და რვეულები იღველ-ფებოდა; ერთი დასტა ჯერ კიდევ იწვოდა. როგორც ჩანდა, ნაზონი ოთახში ხან ერთ ხელნაწერს უკიდებდა ცეცხლს, ხან – მეორეს, ეკლესიის მსახურივით, ხან ერთ კანდელში რომ ანთებს ცეცხლს და ხან – მეორეში. ხელნაწერები და ჩანაწერები სწორედ იქ დაწვა, სადაც მანამდე მზრუნველად და უსაფრთხოდ დააწყო. ნაზონი გადარჩა. მისი ნაშრომი ფერფლად იქცა.

პითაგორას თავი მუხლებზე ედო და არც კი გაუგია, რას უყვებოდა კოტა. კოტამ კიბის ქვეშ სიბნელეში სკამი მიაჩორჩა, დაჯდა და უხმოდ ელოდა, როდის შეხედავდა მსახური.

რა თქმა უნდა, პიაცა-დელ-მოროზე ხანძარმა მხოლოდ ხელნაწერები შთანთქა. გამოქვეყნებული ელეგიები და მოთხრობები, რომლებსაც ხოტბას ასხამდნენ ან თავს ესხმოდნენ, ქალაქის ბიბლიოთეკებში, მკოთხველთა სახლებსა და ცენტურის არქივებში დიდი ხანია უსაფრთხოდ ეწყო. პადუის საგაზიონო კომენტარში, დაბეჭდვისთანავე რომ აიკრძალა, ისიც კი ენერა, ნაზონმა ამ ხანძრით თავისი წიგნების აკრძალვა და რომიდან გაძევება ცეცხლოვანი ნიშნით გააპროტესტაო.

ახსნა ბევრნაირი მოუქებნეს: წიგნების დაწვა მრისხანებისა და სასოწარკვეთილებისაგან გონდაკარგული ადამიანის საქციელი იყო. ეს კეთილგონიერების აქტი იყო – ადამიანმა ცენტურის მართებულება ცნო და ყველაფერი ორაზროვანი და წარუმატებელი საკუთარი ხელით გაანადგურა. ეს უსაფრთხოების ზომები იყო. დანაშაულის აღიარება. მანევრი და ა. შ. და ა. შ.

ათასი ვარაუდის მიუხედავად, ხანძარი ისეთივე გამოცანად დარჩა, როგორიც გადასახლების მიზეზი. ხელისუფლება ან დუმდა, ან არაფრის მთქმელ, ცარიელ სიტყვებს აფარებდა თავს. და რადგან ერთი ხელნაწერი, რომელიც საიმედო ხელში ეგულებოდათ, წლების მანძილზე ვერ მოიქცნა, რომში თანდათან მიხვდნენ, რომ პიაცა-დელ-მოროზე გაჩენილი ხანძარი სასოწარკვეთილი ადამიანის ქცევას და ცეცხლოვან ნიშანს კი არა, ნამდვილ განადგურებას ნიშნავდა.

## მეორე თავი

ლილიპუტი კვიპაროსი შუადღისას სანაპიროს მტვრის ღრუბლიდან, იმ წლის პირველი ცივი მტვრიდან გამოჩენდა. ფურგონში ორი ჩალისფერი ცხენი შეება და ზღვის გასწვრივ ისე მოდიოდა, როგორც წინა წლებში. მოქნეული მათრახით ჰაერში რაღაც გაურკვეველ ნიშნებს ხაზავდა და ტომისა გმირებისა და ლამაზი ქალების სახელებს ატყობინებდა: ასე აგებინებდა ლილიპუტი შორიდანვე ტომისელებს ტანჯვის, ტკივილის, სევდისა და ვნებების ამბებს, რომლებსაც მომდევნო საღამოებში საყასპოს ბათქაშჩამოცვენილ კედელზე ააციმციმებდა. ქალაქში ფილმების გამშვები კვიპაროსი ჩამოვიდა. მაგრამ გაზაფხული იდგა. მელვინის სარდაფში თუ სამჭედლოს ნაღვერდლის შუქზე, ფამას წვრილმანების მაღაზიაში თუ ფარდულის ბინდბუნდში ყველა თავს ანებებდა საქმეს, გარეთ გამოდიოდა, ან ფანჯრებს აღებდა და დაბნეული გაჰყურებდა მტვრის ბოლქვებს, რომლებიც ჰაერში ნელა ტრიალებდა. კინომექანიკოსი კვიპაროსი პირველად ჩამოვიდა გაზაფხულზე და არა აგვისტოში.

როგორც წინა წლებში, ფურგონს ახლაც თოკზე გამობმული, დაღლილობისგან არაქათგამოცლილი ირემი მიჰყვებოდა ჩაქჩაქით. ზღვისპირა სოფლებში ლილიპუტი მას ნადირთა მეფედ წარადგენდა თავისი სამშობლოდან, რომელიც მისი მონაყოლით, სადღაც კავკასიონის ძირში მდებარეობდა; მარშის წკრიალა ხმაზე კვიპაროსი ცხოველს უკანა ფეხებზე აცეკვებდა, რთული ილეთის შესრულების შემდეგ მის დიდ თავს თავისკენ სწევდა და უცნაურ, რბილ

ენაზე რაღაცას ჩასჩურჩულებდა, მერე რქებს, რომლებსაც ირემი ყოველწლიურად იცვლიდა, ან იმ სოფლელს მიჰყიდდა ხოლმე, რომელიც ყველაზე უკეთ გადაუხდიდა, ან ვინმე ალაფის შემგროვებელს, ვისთვისაც რქები ნადირობის გაუნელებელი უინის სიმბოლო იყო. აქაური სანაპიროს ეკალ-ბარდით სავსე გაუვალ ტყეებში ხომ ირმებს ვერ ნახავდით.

ფამას მაღაზიის წინ მოედანზე, ფურგონის გარშემო, მოხუცებსა და უსაქმურებს მოეყარათ თავი, მათ შორის სახეზე ნაცარნასმულ, სანაპიროზე პროცესიის რამდენიმე მონაწილესაც შეამჩნევდით, იქვე მურიანი მორცხვი ბავშვებიც ირეოდნენ. ბატუსი, ფამას შვილი, გახვითქულ ცხენებს ფერდებს უყნოსავდა და ხელისგულით ნესტორებს უმშრალებდა. ასე ადრე რატომ ჩამოხვედიო, ეკითხებოდნენ ბრძოდან ლილიპუტს, როცა ის ფურგონიდან ცხენებს ხსნიდა. რატომ იმ დროს არ ჩამოხვედი, როცა ჩამოდიხარხოლმე? ეს ჩული, ლამაზად მოხატული ფურგონი, ალვირის თითბრის ბალთა ახალია? ყველაფერი რა ლამაზია.

კვიპაროსმა ცხენები წყლით სავსე ქვის აუზთან მიიყვანა, ირემს წაბლი და ვარდის გამხმარი კოკრები დაუყარა და თან იქ შეკრებილებს რკინის ქალაქისთვის უჩვეულოდ მსუბუქად და ლალად ემუსაიფებოდა: რატომ უნდა მოვუხარო თავი წელინადის დროს და აქ ჩამოსასვლელად აგვისტოს დაველოდო, მე კი არ ველოდები ზაფხულს, პირიქით, ის მელოდება. აგვისტო იქ არის, სადაც მე ვარო, ამბობდა კვიპაროსი და იცინოდა. ალვირი ბიზანტიაში ბაზრობაზე სამი სეანსის საფასურად მივიღე, შეხედეთ, ნამდვილი განძიაო. ეს ფურგონიც ბერძენი მონადირე აქტეონის, იმ სულელის სიკვდილის სცენით, საკუთარი ძალლების წერა ასე სულელურად რომ გახდა, იქვე თეატრის ერთმა მხატვარმა მომიხატა და ეს მუქი წითელი შხეფებიც ამ ნაჭერზე მონადირის სისხლიაო. კვიპაროსმა ისევ გაიცინა.

აი ასეთ თუ დაახლოებით ასეთ ლილიპუტს იცნობდა ტომისელების უმრავლესობა. სულერთია, რაზეც უნდა ელაპარაკა – იმაზე, საიდან მოდიოდა თუ საით მიდიოდა, მკრთალად მოციმციმე მავი პროექტორის ფაქიზ მექანიზმზე, იმ დანადგარის ტრულით

ამოგებულ ყუთში რომ იდო, რომელშიც კვიპაროსი ამდენ ბედის-ნერას ინახავდა და მერე ამ მექანიზმის ზუზუნით მათ სიცოცხლეს ანიჭებდა – ყველაფერს ზღაპრულ ამბებად ჰყვებოდა. ასე ჩნდებოდა ყოველ წელს ტერევსის კედელზე ლილიპუტის ხელით სამყარო, რომელიც რკინის ქალაქის მცხოვრებლებს ასე შორეული, მიუღწეველი და ჯადოსნური ეჩვენებოდათ და მერეც, როცა კვიპაროსი დროის სამანის მიღმა უჩინარდებოდა, კვირების მანძილზე, დიდიც და პატარაც, ერთი წლით ეკრანიდან გამქრალ ამ ამბებზე ლაპარაკობდნენ და ათას ვერსიას განიხილავდნენ.

კვიპაროსს თავისი პუბლიკა უყვარდა. პროექტორის მომზადების შემდეგ, რასაც დიდი დრო მიჰქონდა, გმირის სახე ეკრანზე უსაშველოდ იზრდებოდა და საყასპოს კედელი ჯუნგლებსა და უდაბნოებში გამავალ ფანჯრად იქცეოდა ხოლმე, ლილიპუტი კი სიბნელეში ჯდებოდა და ცისფერი შუქით განათებულ მაყურებელთა სახეებს აკვირდებოდა. მათ გამომეტყველებაში ზოგჯერ საკუთარი ოცნებების ძალასა და მათი ახდენის შეუძლებლობას ხედავდა, რადგან კვიპაროსი, მაშინაც კი, როცა წელგამართული იდგა, წელში მოკაულების, ხეიბრებისა და დაწოქილების მეტს ვერავის უტოლდებოდა და ქუჩის ძალი ხბოდ ეჩვენებოდა; ახლა კი აქ, სიბნელეში, ოცნებობდა, რომ მაღალი, მოხდენილი და შთამბეჭდვი ყოფილიყო. ის ცას ესწრაფოდა. კვიპაროსი, რომელსაც თავისი ფურგონით იმდენი ქალაქი მოევლო, იმდენ ჭანჭრობში ევლო და იმდენ შორეულ, უკაცრიელ ადგილას ჩაელნია, რომ ტომისელ რკინის მდნობელს არც კი დაესიზმრებოდა, მიწის სიღრმეზეც ოცნებობდა და ღრუბლების სიმაღლეზეც, ის მარადიულ ცისქვეშეთში მარადიულ ადგილზე ოცნებობდა. ოცნებებით გართულს, ზოგჯერ სეანსის დროს ჩაეძინებოდა ხოლმე და ხეები ესიზმრებოდა – კედრის, ალვისა და კვიპაროსის ხეები. ესიზმრებოდა, თითქოს უხეშ, დახეთქილ ხელებზე ხავსი ედებოდა, ფეხის თითებზე ფრჩხილები ასკედებოდა და გაღუნული ფეხებიდან ფესვები ეზრდებოდა, რომლებიც მაღევე ხეშეშდებოდა და მიწაში სულ უფრო ღრმად ჩადიოდა. წლის აღმნიშვნელი რგოლები გულს ფარივით ეკვროდა. ის იზრდებოდა.

მერე, როცა კვიპაროსს ცარიელი ბობინის წყარუნი და გაწყვეტილი ლენტის ტყლაშუნი აღვიძებდა, ფეხზე წამოვარდებოდა ხოლმე და ხელ-ფეხში ჯერ კიდევ გრძნობდა ხის მსუბუქ ჭრაჭუნს, მის ბოლო, მსუბუქ თრთოლას, რომლის კენწეროშიც გაბმული ქარი დამოშმინებულიყო. ასეთ წუთებში, როცა სიზმრიდან ჯერ არ გამორკვეულიყო, კვიპაროსი, ეს ლილიპუტი, თავს ბედნიერად გრძნობდა.

ტომისში მარტო ორი დიდი შენობა იდგა: საყასბო და ქვიშაქვით ნაგები პირქუში ეკლესია, რომლის ნავიც ნოტიო ქაღალდის გვირგვინებითა და შემზარავი წამებისგან გამშებული წმინდანების ფიგურებით დაღრეცილი, ნესტისგან დაობებული, აშმორებული ხატებით მოერთოთ. ეკლესიაში მაცხოვრის რეინის ქანდაკებაც იდგა, რომელიც ზამთარში ისეთი ცივი იყო, რომ მჭმუნვარე მლოცველებს, მაცხოვარს ფეხებზე რომ ეამბორებოდნენ ხოლმე, ლითონის სიცივისგან ტუჩები ზედ ეყინებოდათ. საყასბოსა და ეკლესის გარდა, ტომისში არ არსებობდა დარბაზი ან რამე სხვა შენობა, რომელიც კვიპაროსის პუბლიკას დაიტევდა და რომელშიც მის დიდებულ კინოსურათებს აჩვენებდნენ.

ამიტომაც აპრილის ერთ უჩვეულოდ თბილ საღამოს, მაშინ, როცა ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარიშხალს, შეიძლებოდა, ფანჯრის დარაბები დაელენა და სახლის სიღრმეში მინის ჭურჭელს წერილი დაეწყო, ტომისელები საყასბოს უკან, ღია ცის ქვეშ, ხის მერხებზე ისხდნენ და იმ ერთ-ერთ დრამას ელოდნენ, რომელსაც კვიპაროსი მთელი დღე ჰპირდებოდათ. ნაძვის ტოტზე მავთულით მიმაგრებული დინამიკიდან ჭრიჭინების ჭრიჭინი ისმოდა. მაყურებლები გვერდიგვერდ ისხდნენ; ბევრს ცხენის ბეწვის პლედი შემოეხვია და მათი ამონასუნთქი თეთრ ღრუბლებად მიიზლაზნებოდა, როგორც ზამთარში. პროექტორის გარშემო, როგორც გასული წლების ზაფხულის ღამეებში, დამფრთხალი ფარვანები დაფარფატებდნენ; როცა რომელიმე ცხელ შუშაზე იწვებოდა, ჰაერში კვამლის ბოლქვი ადიოდა და წვრილმანებით მოვაჭრე ქალს ეჩვენებოდა, რომ ცის უსასრულობაში ზაფხულის ვარსკვლავები ჩნდებოდა. როგორც იქნა, ტერევსის კედელი განათდა. მოკლედ, აგვისტო იდგა...